

ბიზანტიური ლიტერატურის პერიოდიზაცია

ზემოთ უკვე დასახელებული გვექონდა ის მიზეზები, რომელთა გამოც აღმოსავლეთ რომის იმპერიის – ბიზანტიის ლიტერატურის შესწავლას ჩვენ მანამდე ვინყებთ, ვიდრე რომის იმპერია ორად – დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად გაიყოფოდა და აღმოსავლეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას შეუდგებოდა. აღმოსავლეთში ქრისტიანობის სწრაფმა გავრცელებამ, რასაც შემდეგ ნიკეის პირველი მსოფლიო კრება, ახალი პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის – კონსტანტინოპოლის დაარსება და აღმოსავლეთის კულტურული ტრადიციების აღმავლობა მოჰყვა, სულიერ-კულტურულ სფეროში აღმოსავლეთი ბევრად უფრო ადრე გათიშა დასავლეთისაგან, ვიდრე ეს გათიშვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდებოდა (395 წ.). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბიზანტიური მწერლობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს IV საუკუნის დასაწყისი და XV საუკუნის შუა ხანები, კერძოდ, 1453 წ. წარმოადგენს, როცა აღმოსავლეთ რომის იმპერია თურქების შემოსევის შედეგად დაეცა და არსებობა შეწყვიტა. ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ბიზანტინისტები ოთხ პერიოდს გამოყოფენ.

პირველი პერიოდი IV-VI საუკუნეებს მოიცავს. ეს არის პერიოდი ანტიკური, წარმართული მწერლობის გაბრძოლებისა თავის გადასარჩენად და პერიოდი ახალი ქრისტიანული მწერლობის ჩამოყალიბებისა თავისი უნრებითა და ფორმებით. წარმართი ავტორებიდან განსაკუთრებით ფილოსოფიურ-რიტორიკული პროზის ავტორები აქტიურობდნენ, შედარებით მოკრძალებულნი იყვნენ პოეტები, რომლებიც თავიანთ თხზულებებს ანტიკურ თემებზე ანტიკურივე სალექსო საზომით ქმნიდნენ. გრძელდებოდა, აგრეთვე, ანტიკურ სტილში ტრადიციული „ისტორიების“ წერაც. რაც შეეხება ქრისტიანულ მწერლობას, ყველაზე სწრაფად და

მძლავრად რიტორიკული პროზა განვითარდა, რომლის შინაარსსაც უპირატესად ეგზეგეტიკა – ბიბლიური წიგნების განმარტება და მორალურ-ზნეობრივი დარიგებანი წარმოადგენდა. ქრისტიან მოღვაწეებს, უარი არ უთქვამთ იმ მიღწევებზე, რომელთაც ანტიკური ეპოქის ავტორებმა სიტყვიერ ხელოვნებაში ჟანრების ჩამოყალიბებისა და მხატვრული საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით მიაღწიეს. ისინი, სრულიად სამართლიანად, კანონიერ მემკვიდრედ თვლიდნენ თავს ყოველივე იმ საუკეთესოსი, რაც კაცობრიობამ სულიერი კულტურის სფეროში დედამიწაზე განკაცებული ღმრთის-ქრისტეს მოსვლამდე შექმნა და წარმატებითაც იყენებდნენ ახალი იდეოლოგიისა და შინაარსის გადმოსაცემად. აღსანიშნავია, რომ იდეოლოგიური ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ბიზანტიური მწერლობის პირველივე პერიოდში, IV-V საუკუნეებშივე, ქრისტიანობის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. პირველ ხანებში შედარებით სუსტად ვითარდებოდა ქრისტიანული პოეზია, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ სულ მალე ქრისტიანმა ავტორებმა წარმატებას პოეზიაშიც მიაღწიეს. ამაზე მეტყველებს ჰიმნოგრაფიული ქმნილებანი, რომელიც IV-VI საუკუნეებში შეიქმნა. პროზის ტრადიციული სახეების – ფილოსოფიური, რიტორიკული, მხატვრული და ისტორიული, – გვერდით გაჩნდა მისი ახალი სახეობა – ჰაგიოგრაფია – აღწერა ქრისტესთვის თავდადებულთა ცხოვრებისა და წამებისა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ანტიკურ პროზაში მისი ძირების დაძვინაც შეიძლება. რჩეულ ადამიანთა ცხოვრების აღწერა უკვე წარმართულ მწერლობაშიც გვხვდებოდა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ (II ს. ჩვენი წელთაღრიცხვით), რომელშიც, მათი მოღვაწეობის ხასიათიდან გამომდინარე, ძველი საბერძნეთისა და რომის გამოჩენილ პიროვნებათა პორტრეტები პარალელურად არიან წარმოდგენილნი. პირველ პერიოდშივე ჩამოყალიბდა ახალი სახე ისტორიული პროზისა – ქრონო-

გრაფია, რომელშიც ადამის მოდემის ისტორია ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოზიციიდან იყო აღქმული და გაანალიზებული.

მეორე პერიოდს VII-X საუკუნეები შეადგენენ. ამ პერიოდში წარმართულ მსოფლმხედველობაზე გამარჯვებული ქრისტიანული მწერლობა, ერთიკულ მიმდინარეობებთან ბრძოლის პირობებში, რომელიც არც პირველი პერიოდისათვის იყო უცხო, კიდევ უფრო განვითარდა და განმტკიცდა. ამ ეპოქაში განსაკუთრებით ნაყოფიერი ჰაგიოგრაფიის ავტორთა მოღვაწეობა გამოდგა. წმინდანთა ცხოვრების აღწერა საუკეთესო საშუალება იყო ქრისტიანული რელიგიის პრაქტიკულ ღირებულებათა ჩვენებისა და საზოგადოების ზნეობრივი აღზრდისათვის. აღორძინება დაეტყო პოეზიასაც. შეიქმნა მრავალი მაღალ-მხატვრული პოეტური საგალობელი არამხოლოდ საზოგადო ღმრთისმსახურების დროს შესასრულებლად, არამედ ღმერთთან მიმართებაში პიროვნულ განცდათა გამოსახატად და გადმოსაცემადაც. ამასთან, იმ ფონეტიკურმა ცვლილებებმა, რომელიც ბერძნულმა ენამ დროთა განმავლობაში განიცადა, პოეტებისაგან ანტიკური კვანტიტატივსაგან განსხვავებული, ახალი სალექსო საზომების მოძებნა მოითხოვა, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი და ლექსის შესაქმნელად სილაბურობა და ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი აქცენტურობა გამოიყენეს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა წმინდა ბიზანტიური პოეზია – სალექსო სტრიქონში მარცვალთა რიცხვსა (სილაბურობა) და მახვილის გარკვეული წესით გამოყენებაზე (აქცენტურობა) დამყარებული. რაც შეეხება ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებას, ეკლესიის მოღვაწენი ერესებთან ბრძოლაში არამხოლოდ წარმატებით იყენებდნენ წინარე ეპოქის ქრისტიან მოაზროვნეთა სწავლებებს, არამედ თავადაც შეჰქონდათ წვლილი ზოგიერთი პრობლემური საკითხის კიდევ უფრო დაზუსტებულად და დახვეწილად გადმოცემაში. შედარებით გამოცოცხლდა საერო მწერლობაც და ეს ყველაზე მეტად ეპოსს დაეტყო. ამ პერიოდში შექმნილი

სარაინდო-საგმირო და ისტორიული ხასიათის პოემები ინტერესს არა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ წმინდა მხატვრული ღირებულებებითაც იწვევენ.

მესამე პერიოდს (XI-XII სს.) ბიზანტიკაში აღორძინების, რენესანსის ეპოქას უწოდებენ; გარკვეულწილად ეს სწორიცაა, რადგან ამ პერიოდში მართლაც გამოცოცხლდა და აღორძინდა წარმართული ფილოსოფია, უფრო ზუსტად, მისი გვიანდელი სახე – IV-V საუკუნეებში ქრისტიანული მსოფლმხედველობის გავლენით შექმნილი ნეოპლატონიზმი. ე. წ. ბიზანტიური რენესანსის მოღვაწენი ქრისტიანული ღმრთისმეტყველების ძირითად სწავლებათა გადასინჯვასა და მათ შეფასებას წარმართული ფილოსოფიის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ცდილობდნენ. ამ ტიპის მოაზროვნეთა მიერ გამოცხადებით მიღებულ სწავლებათა დაცვა და ერთგულება გონებაშეზღუდულობის შედეგად იქნა მიჩნეული, ხოლო ბრძოლა მათ წინააღმდეგ – აზროვნების თავისუფლბად. ფილოსოფიური რენესანსის ანალოგიურია XI-XII საუკუნეების ბიზანტიაში ლიტერატურული რენესანსიც ამ პერიოდის მწერლობაში ყველაზე ფართოდ სარაინდო რომანია წარმოდგენილი, რომელიც, როგორც ამას მართებულად შენიშნავს ს. ყაუხჩიშვილი, ელინისტური რომანის განმეორებაა თითქმის იმავე სახით, როგორც ის I-IV საუკუნეებში შეიქმნა.¹

მეოთხე პერიოდი ბიზანტიური მწერლობისა იმ ძეგლებს შეიცავს, რომელიც XIII-XV საუკუნეებში შეიქმნა. სახელმწიფოებრივი რღვევისა და დაცემის პროცესი, რომლის ნიშნებიც იმპერიას ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის შუა ხანებიდან დაეტყო, მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ინტენსიურად წარიმართა. 1204 წელს, მეოთხე ლაშქრობის დროს, დასავლეთ ევროპელმა

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტ. ისტორია, გვ. 265.

²⁴ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტ. ისტორია, გვ. 277.

ჯვაროსნებმა, ნაცვლად იმისა, რომ თურქების ტყვეობისგან წმინდა ქალაქი – იერუსალიმი გამოეხსნათ, იარალი იმპერიის წინააღმდეგ მიმართეს, კონსტანტინოპოლი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არა მხოლოდ ბიზანტიის, არამედ მთელი იმდროინდელი სამყაროს პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას ედგა სათავეში, უმოწყალოდ დაარბიეს და გაძარცვეს, ხოლო დაპყრობილი იმპერია საგამგებლოდ ერთმანეთს შორის გადაინაწილეს. დამოუკიდებლობა მხოლოდ მისმა ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა, რომლის ცენტრიც ნიკეა იყო, ამიტომ ისტორიაში ნიკეის სამეფოს სახელით შევიდა. სწორედ მისი ინიციატივითა და წინამძღოლობით შეძლეს ბერძნებმა ლათინთა უღლის გადაგდება 1261 წელს და იმპერიის აღდგენა, მაგრამ არა ძველი დიდებითა და ბრწყინვალეობით. განცდილმა კატასტროფამ ისე მძლავრად შეარყია მისი სახელმწიფოებრივი ძლიერება, რომ აღდგენა აღარ ეწერა. XIII-XV საუკუნეების იმპერია ძველის აჩრდილსდა წარმოადგენდა, როგორც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, ისე ზნეობრივ-კულტურული თვალსაზრისით, რისი ლოგიკური შედეგიც 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის, ამჯერად, საბოლოოდ დაცემა იყო. არ გვგონია ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, რომ ძირითადი მიზეზი ამ დაცემისა XI-XII საუკუნეებში ნეოპლატონური ფილოსოფიის აღორძინება იყო, რომელსაც შედეგად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ქრისტიანული მოძღვრების გავლენის შემცირება და ზნეობის არნახულად დაქვეითება მოჰყვა, რის დამონმებასაც ხშირად ვხვდებით XIII-XV საუკუნეებში მოღვაწე მემათიანეთა თხზულებებში. საისტორიო პროზასთან შედარებით ბევრად უფრო სუსტად ამ პერიოდის საერო მწერლობა გამოიყურება; ჰიმნოგრაფია ძირითადად იმპერიის მმართველი წრეების წარმომადგენელთა პანეგირიკებს წარმოადგენს, ხოლო ეპოსური პოეზიის ნიმუშები სარაინდო ხასიათის ქმნილებებია. ისინი მითოსურ-ზღაპრულ მოტივებზეა აგებული და ნიშან-წყალიც კი არ ეტყობათ იმისა, რომ არა

ანტიკურ ხანაში, არამედ ბიზანტიის ქრისტიანულ იმპერიაში არიან შექმნილნი. იგივე ითქმის საღმრთისმეტყველო ლიტერატურაზეც. საერთო სურათის მუქ ფერებში სინათლის სხივებად მხოლოდ წმ. გრიგოლ პალამას და წმ. ნიკოლოზ მეთონელის სახელები ბრწყინავენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია თვალსაზრისი ს. ყაუხჩიშვილისა, რომლის მიხედვითაც, XIII-XV საუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურასა და ხელოვნებას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს **ნეოელინური**.²
